ძველი ენები და ცივილიზაციები

1. **ინტენსიური კურსი ძველბერძნულ ენაში**

   Ancient Greek – intensive course

   სასწავლო კურსი ითვალისწინებს ბერძნული ენის გრამატიკისა და საფუძვლების სწავლებას ინტენსიური სწავლების მეთოდების გამოყენებით.

2. **ინტენსიური კურსი ლათინურ ენაში**

   Latin – intensive course

   სასწავლო კურსის ითვალისწინებს ლათინური ენის გრამატიკისა და საფუძვლების სწავლებას ინტენსიური სწავლების მეთოდების გამოყენებით.

3. **აქადური ენა 1**
   Akkadian Language 1

   კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან აქადური ენის გრამატიკის საფუძვლებს – ძირითად გრამატიკულ კატეგორიებს; ლურსმული დამწერლობის სპეციფიკას, ნიშანთა ცხრილებით სარგებლობას, აქადური ტექსტის ლურსმული პირის კითხვას და ტრანსლიტერაციის გაკეთებას.

4. **აქადური ენა 2**
   Akkadian Language 2

   კურსი, არსებითად, აქადური I დონის გაგრძელებაა. მისი მიზანია გრამატიკული ცოდნის სრულყოფა, სათარგმნი ტექსტების და სავარჯიშოების გართულების გზით. კურსის მიზანია აგრეთვე აქადური ტექსების ლურსმული პირის კითხვასა და თარგმანში გაწაფვა, აქადური ლექსიკური მარაგის შევსება და განმტკიცება აქტიურ მეხსიერებაში. სასწავლო კურსი ითვალისწინებს აქადური ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის შესახებ ცოდნის გაღრმავებას, აქადური ტექსტების ტრანსლიტერაციასა და თარგმანში გაწაფვას.

5. **აქადური ენა 3**
   Akkadian Language 3

კურსის ფარგლებში ხდება აქადური ენის ცოდნის სრულყოფა. I-II დონეებისგან განსხვავებით, სადაც ძირითადი მიზანი აქადური ენის გრამატიკის საფუძვლების ათვისებაა, სპეციალურად ამ მიზნით შერჩეული მარტივი ტექსტების დამუშავების გზით, მეორე დონეზე ძირითადი აქცენტი კეთდება სწორედ ტექსტებზე მუშაობაზე, მათ გრამატიკულ-ფილოლოგიურ ანალიზზე.

6. **აქადური ენის დიალექტები**
   Dialects of Akkadian Language

   აქადური ენის ცოდნის შემდგომი სრულყოფა ხდება აქადური ენის სხვადასხვა დიალექტის შესწავლის გზით. სტუდენტი დაეუფლება ცალკეულ დიალექტს შესაბამისი ტექსტების დამუშავების საფუძველზე.

7. **ასურული ისტორიული ტექსტები**
   Assyrian Historical Texts

   კურსის ფარგლებში ხდება აქადური ენის ცოდნის სრულყოფა ახალასურული ხანის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წერილობითი ძეგლის _ აქადური ენის ბაბილონურ დიალექტზე შედგენილი 430-სტრიქონიანი ლურსმული ტექსტის ("სარგონის წერილი ღვთაება აშურისადმი") შესწავლის გზით. სტუდენტი უნდა გაიწაფოს ლურსმული პირის კითხვაში. ამ კურსის გავლისას ძირითადი აქცენტი კეთდება ტექსტზე მუშაობაზე, მის გრამატიკულ-ფილოლოგიურ და შინაარსობრივ ანალიზზე.

8. **ხათური (პროტოხეთური) ენა**
   Hattian (protohittite) Language

   კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ხათური ენას, რომელიც მსგავსებას ამჟღავნებს კავკასიურ ენებთან. სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტი აითვისებს ხათური ენის ძირითად გრამატიკულ კატეგორიებს, მისი შესწავლის მეთოდოლოგიურ საფუძველს და დაამუშავებს ხეთურ საკულტო–სარიტუალო ტექსტებში ჩართულ ხათურენოვან ფრაგმენტებს.

9. **ანატოლიური ენები 1**
   Anatolian Languages 1

   სტუდენტები კურსის ფარგლებში გაეცნობიან ანატოლიური ენებს (ხეთური/ნესური, ლუვიური, ფალაური და სხვ.), შეისწავლიან მათი გრამატიკის საფუძვლებს, ძირითად

გრამატიკულ კატეგორიებს. წარმოდგენა შეექმნებათ ხეთურ–ლუვიური და ზოგადად ლურსმული, აგრეთვე ლუვიური იეროგლიფური დამწერლობის სისტემის თავისებურებებზე, თანდათანობით შეეჩვევა ის ნიშანთა ცხრილებით სარგებლობას, ლურსმული პირის (ავტოგრაფიის) კითხვას და ტრანსლიტერაციის გაკეთებას.

10. **ანატოლიური ენები 2**
Anatolian Languages 2

კურსი, არსებითად, ანატოლიური ენები I დონის გაგრძელებაა. მისი მიზანია ანატოლიური ენების (პირველ რიგში, ხეთურის/ნესურის, ლუვიურის ,აგრეთვე ფალაურის) შესახებ გრამატიკული ცოდნის სრულყოფა, სათარგმნი ტექსტების და სავარჯიშოების გართულების გზით. კურსის მიზანია, აგრეთვე, ტექსების ლურსმული პირის კითხვასა და თარგმანში გაწაფვა.

11. **ანატოლიური ენები 3**
Anatolian Languages 3

სასწავლო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია ანატოლიური ენების შესახებ ცოდნის სრულყოფა. I-II დონეებისგან განსხვავებით, სადაც ძირითადი მიზანი გრამატიკის საფუძვლების ათვისებაა, სპეციალურად ამ მიზნით შერჩეული მარტივი ტექსტების დამუშავების გზით, მესამე დონეზე ძირითადი აქცენტი კეთდება სწორედ ტექსტებზე მუშაობაზე, მათ გრამატიკულ-ფილოლოგიურ ანალიზზე. სტუდენტმა უნდა დაამუშავოს და გაიაზროს სხვადასხვა ჟანრისა და ნებისმიერი სირთულის ანატოლიური (პირველ რიგში, ხეთური, ლუვიური, აგრეთვე შეძლებისდაგვარად ნაკლებად შესწავლილი ფალაური) წერილობითი ძეგლი, შესაბამისი კონტექსტის (ისტორიული, გეოგრაფიული, სამართლებრივი, მითოლოგიური, რიტუალური და სხვ.) გათვალისწინებით.

12. **ანტიკური სამყარო ეპოქათა მიჯნაზე**
Antique World at the Verge of Ages

სტუდენტები შეისწავლიან აღნიშნული პერიოდის იუდეველებისა და ქრისტიანების ისტორიას, ყოფას, კულტურას, ცხოვრების წესს, რაც სტუდენტს დაეხმარება უახლეს არტეფაქტებზე დაყრდნობით, სხვადასხვა კულტურათა დიალოგის საფუძველზე გაიაზროს მონოთეისტური რელიგიების აღმსარებელი ხალხის ადგილი და როლი ანტიკურ სამყაროში. სალექციო კურსი სტუდენტებს დაეხმარება გაარკვიონ ქრისტიანობის გავრცელებისა და პოპულარიზაციის მიზეზები. დაინახონ ქრისტიანობის

დამოუკიდებელ რელიგიად ჩამოყალიბების, ტრანსფორმაციის, იუდაიზმთან დაპირისპირებისა და საბოლოო განხეთქილების პროცესი.

13. **ბიბლია როგორც ისტორიული წყარო**
Bible as a Historical Source

კურსის ფარგლებში ბიბლიის გაანალიზებისა და სხვა წყაროებთან შედარების საფუძველზე შეისწავლება ბიბლიაში მოხსენიებულ ხალხთა ისტორია, ყოფა, კულტურა; ბიბლიურ შტუდიათა თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების განსაზღვრა.

14. **ეგეოსური სამყარო და ძველი აღმოსავლეთი**
Aegean world and Ancient East

კურსი აცნობს სტუდენტებს "აღმოსავლეთ-დასავლეთის" ურთიერთობათა უძველეს ეტაპს – ძვ. წ. III-II ათასწლეულებს. ძველი სამყაროს განვითარების ერთიან სურათში გამოიკვეთება "დასავლურ" ცივილიზაციათა გაჩენა, მათი მსგავსება-განსხვავებები ძველაღმოსავლურ ცივილიზაციებთან.

15. **ეგეოსური ტექსტები და მათი ინტერპრეტაცია**
Aegean Texts and Their Interpretation

კურსი სტუდენტებს აცნობს კლასიკური სიძველეთმცოდნეობის ერთ-ერთ ქვედარგს – ეგეისტიკას, რომელიც შეისწავლის ეგეოსის ზღვის აუზში ბერძნებამდელ და ბერძნების მიერ შექმნილ პირველ მაღალ ცივილიზაციებს. ამ ცივილიზაციათა მიერ შექმნილ დამწერლობათაგან დღეისათვის გაშიფრულია მხოლოდ ერთი – მიკენური, ე.წ. B-ხაზოვანი. დამწერლობის ამ სისტემით შექმნილი ტექსტები მნიშვნელოვანი წყაროა ბერძნული და ზოგადად ინდოევროპული ენათმეცნიერებისთვის, ისინი საინტერესო მასალას შეიცავენ ძველი სამყაროს პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური ისტორიის შესასწავლად.

16. **ძველი ეგვიპტის ისტორია**
History of the Ancient Egypt

სალექციო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცივილიზაციის ძირითად ასპექტებს, უძველესი სახელმწიფოს შექმნასა და განვითარებას, მისი ხანგრძლივი ისტორიის მიზეზებს, ეგვიპტის კულტურას, რელიგიასა და ეგვიპტელის აზროვნების თავისებურებას. ეგვიპტური ცივილიზაცია არის ერთგვარი ხიდი "აღმოსავლეთს" და "დასავლეთს" შორის და, ამდენად, ეგვიპტის ისტორიის შესწავლა გაუადვილებს სტუდენტს, უკეთ გაერკვეს მსოფლიო ცივილიზაციის არსში.

17. ძველი ეგვიპტის ლიტერატურა
Egyptian Literature

კურსის ფარგლებში სტუდენტები ეცნობიან მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცივილიზაციის - ძველი ეგვიპტის - ლიტერატურას და გვიპტური ლიტერატურის ადგილს მსოფლიო ლიტერატურაში.

18. ელინიზმი
Hellenism

სალექციო კურსის ფარგლები სტუდენტები შეისწავლიან ელინისტური სამყაროს პოლიტიკური, სოციალურ–ეკონომიკური და კულტურული მემკვიდრეობის ისტორიას. წყაროთმცოდნეობითი ბაზისა და ისტორიოგრაფიის საფუძველზე, სისტემური ანალიზის მეთოდის გამოყენებით, მაგისტრანტები საფუძვლიანად შეისწავლიან ელინიზმის, ელინისტური სამყაროსა და ელინისტური კულტურის დეფინიციის პრობლემებს; სოციალურ–ეკონომიკური ურთიერთობს, პოლიტიკური სტრუქტურებს.

19. ეტრუსკული ცივილიზაცია
Etruscan Civilization

კურსის სტუდენტებს აცნობს ეტრუსკული ცივილიზაციის ყველა ძირითად სფეროს თანამედროვე გამოკვლევათა შუქზე – ისტორია, ენა, ეპიგრაფიკა, რელიგია, პოლიტიკური ორგანიზაცია, ხელოვნება, არქიტექტურა, ყოველდღიური ცხოვრება.

20. იმპერია და პოლისი.
Empire and Polis

სასწავლო კურსის მაგისტრანტებს აძლევს ცოდნას ანტიკური ხანის იმპერიებისა და პოლისების პოლიტიკური, სავაჭრო–ეკონომიკური და კულტურული კონტაქტების შესახებ. ამ პროცესებისათვის თვალის გადევნება ფრიად გააფართოებს მაგისტრანტების ცოდნას იმპერიული და პოლისური სისტემების ჩამოყალიბების, მათი განვითარების კანონზომიერების შემეცნებაში. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აქემენიანთა სპარსეთისა და ბერძნული პოლისების ურთიერთობის ადრეული ეტაპის გაცნობა, ალექსანდრე მაკედონელის დამოკიდებულება ბერძნული პოლისებისადმი. რომის იმპერიის ხანაში, რესპუბლიკური ფორმის პოლისური ორგანიზაცია საბოლოოდ კნინდება და ის უშუალოდ იმპერიას ექვემდებარება.

21. **კავკასია ლურსმულ ტექსტებში**
Caucasia in Cuneiform Texts

მაგისტრანტები კურსის ფარგლებში შეისწავლიან კავკასიის ისტორიის უძველეს წყაროებს: ასურული, ხეთური, ურარტული და სპარსული.

22. **რომი და აღმოსავლეთი**
Rome and the East

მაგისტრანტები კურსის გავლის შედეგად გაეცნობიან რომსა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის არსებულ მდგომარეობას; ძველი რომაელის აზროვნების სპეციფიკასა და მის ადგილსა და როლს ზოგადსაკაცობრიო კულტურაში. აგრეთვე, მიზნად ვისახავთ იმ თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების განსაზღვრას, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელია ანტიკური ქვეყნების ისტორიაში დაგროვილი მასალის გაანალიზება.

23. **სიძველეთმცოდნეობის ინტერდისციპლინარული სემინარი**
Interdisciplinary Seminar in Ancient Studies

სალექციო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან სიძველეთმცოდნეობის ინტერდისციპლინარულ დარგს. ვიწრო სპეციალური განათლების პარალელურად (რასაც პროგრამის დანარჩენი კურსები ემსახურება),კურსი გაუფართოვებს თვალსაწიერს სტუდენტებს, მისცემს წარმოდგენას მომიჯნავე დისციპლინებზე, მათი კვლევის მეთოდიკასა და უახლეს შედეგებზე, გამოუმუშავებს დამოუკიდებელი სამეცნიერო მუშაობისა და ამ მუშაობის შედეგების პრეზენტაციის ჩვევებს.

24. **სიძველეთმცოდნეობის ინტერდისციპლინარული სემინარი 1**
Interdisciplinary Seminar in Ancient Studies 1

მაგისტრანტები შეისწავლიან სიძველეთმცოდნეობის ინტერდისციპლინარულ დარგს ვიწრო სპეციალური განათლების პარალელურად (რასაც პროგრამის დანარჩენი კურსები ემსახურება), წარმოდგენა შეექმნებათ მომიჯნავე დისციპლინებზე, მათი კვლევის მეთოდიკასა და უახლეს შედეგებზე, გამოუმუშავებსს დამოუკიდებელი სამეცნიერო მუშაობისა და ამ მუშაობის შედეგების პრეზენტაციის ჩვევებს.

25. **სიძველეთმცოდნეობის ინტერდისციპლინარული სემინარი 2**
Interdisciplinary Seminar in Ancient Studies 2

სტუდენტები გაეცნობიან სიძველეთმცოდნეობის ინტერდისციპლინარულ დარგს, ვიწრო სპეციალური განათლების პარალელურად (რასაც პროგრამის დანარჩენი კურსები ემსახურება), წარმოდგენა შეექმნებაზე მომიჯნავე დისციპლინებზე, მათ კვლევის მეთოდიკასა და უახლეს შედეგებზე. გამოუმუშავდებათ დამოუკიდებელი სამეცნიერო მუშაობისა და ამ მუშაობის შედეგების პრეზენტაციის ჩვევები.

26. **სიძველეთმცოდნეობის ინტერდისციპლინარული სემინარი 3**
Interdisciplinary Seminar in Ancient Studies 3

სალექციო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან სიძველეთმცოდნეობის ინტერდისციპლინარულ დარგს. ვიწრო სპეციალური განათლების პარალელურად (რასაც პროგრამის დანარჩენი კურსები ემსახურება),კურსი გაუფართოვებს თვალსაწიერს სტუდენტებს, მისცემს წარმოდგენას მომიჯნავე დისციპლინებზე, მათი კვლევის მეთოდიკასა და უახლეს შედეგებზე, გამოუმუშავებს დამოუკიდებელი სამეცნიერო მუშაობისა და ამ მუშაობის შედეგების პრეზენტაციის ჩვევებს.

27. **შუმერული იურიდიული და ლიტერატურული ტექსტები**
Sumerian Juridical and Litterary Texts

კურსის ფარგლებში დაიხვეწება მაგისტრანტის მუშაობის ჩვევები და ოსტატობა სხვადასხვა სირთულის შუმერულენოვანი ლურსმული წყაროების ტრანსლიტერაცია-თარგმანის მომზადების მიმართულებით, რათა კურსის გავლის შემდეგ შესაძლებლობა მიეცეს, დაუბრკოლებლად წაიკითხოს ნებისმიერი სიძნელის შუმერული ტექსტი.

28. **ტროა – არქეოლოგია, ისტორია, კულტურა**

Troia – Archeology, History, Culture

მაგისტრანტები ეცნობიან ტროას შესწავლის ისტორიას; ტროა I-X კულტურებს, არქეოლოგიური გათხრების მეთოდიკას ტროაში; ინტერდისციპლინარული კვლევასა და ინტერნაციონალურ თანამშრომლობას ტროაში; ტროას მშვიდობის მუზეუმს.

29. ხათური ტექსტები
Hattian Texts

კურსის მიზანია ხათური ენის შესწავლის სრულყოფა ხათურ–ხეთური ბილინგვების დამუშავების გზით. ტექსტებზე მუშაობა გულისხმობს ლურსმული ტექსტების ტრანსლიტერაციასა და კომენტირებული თარგმანის გაკეთებას.

30. ხეთური რელიგიური ტექსტები
Hittite Religious Texts

კურსის ფარგლებში მაგისტრანტები დაამუშავებენ სხვადასხვა ჟანრის რელიგიური შინაარსის ხეთურ ტექსტებს (რიტუალები, ლოცვები, დღესასწაულთა აღწერილობები და სხვ.). ტექსტის, როგორც წერილობითი წყაროს, სპეციფიკის გათვალისწინებით, გაშუქდება ხეთური რელიგიის პრობლემური საკითხები.

31. ხეთური სამართლის ძეგლები
Hittite Law

კურსის ფარგლებში მაგისტრანტები გაეცნობიან ხეთური სამართლის ძეგლებს; გაშუქდება ძველი წინა აზიის სამართლის საკითხები; პარალელები იქნება გავლებული შუმერულ და ასურულ სხვა კანონებთან.